

შპს „402215508“

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „აიტექსტ“-ის
დირექტორი ანდრეი ავაკიან



სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7




შპს „აიტექსტ“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 05.05.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი
შემოსავალი რეალიზაციიდან	3	2,277,374
სულ შემოსავალი		2,277,374
დასაქმებულთა ანაზღაურება	5	(1,728,815)
იჯარა		(84,805)
საკონსულტაციო ხარჯი		(2,046)
ცვეთის ხარჯი		(5,008)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(90,604)
საოპერაციო მოგება		366,096
არასაოპერაციო შემოსავალი	4	13,002
არასაოპერაციო ზარალი	4	(62,090)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(49,088)
მოგება დაბეგვრამდე		317,008
წმინდა მოგება		317,008
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		317,008

შპს „აიტექსტ“-ის
დირექტორი ანდრეი ავაკიან



შპს „აიტექსტ“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-ის თარიღისთვის

შენიშვნა**აქტივები****მიმდინარე აქტივები**

ფული და ფულის ექვივალენტი		138,817
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	700,143
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	6	142,712
სულ მიმდინარე აქტივები		981,672

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები		216,279
არამატერიალური აქტივები		8,512
სულ გრძელვადიანი აქტივები		224,791

სულ აქტივები		1,206,463
---------------------	--	------------------


ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი**მოკლევადიანი ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	575,307
საგადასახადო ვალდებულებები		6,021
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		581,328

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი		308,127
გაუნაწილებელი მოგება		317,008
სულ საკუთარი კაპიტალი		625,135

სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,206,463
---	--	------------------



შპს „აიტექსტ“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 05.05.2022 - 31.12.2022

პერიოდისთვის

	2022
საკუთარი კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	0
საწესდებო კაპიტალი	308127
გაუნაწილებელი მოგება	317008
საკუთარი კაპიტალი პერიოდის ბოლოს	625135

შპს „აიტექსტ“-ის
დირექტორი ანდრეი ავაკიან



შპს „აიტექსტ“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 05.05.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

მოგება დაბეგვრამდე	317,008
ამორტიზაცია	5,008

არაფულადი კორექტირებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება	(700,143)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება	575,307
გაცემული ავანსები	(142,712)
საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება	6,021

წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან 60,489საინვესტიციო საქმიანობა

ძირითადი საშუალებების შეძენა	(229,799)
------------------------------	-----------

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან (229,799)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	308,127
---	---------

წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	308,127
--	---------

წმინდა ცვლილება ფულად ნაკადებში	138,817
---------------------------------	---------

ფული დაფულის ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	138,817
---	---------



შპს „აიტექარტ“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აიტექარტ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 05/05/2022). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალექსიძის ქ., N12, საოფისე ფართი N24ა. მისი ძირითადი საქმიანობაა პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და შემდგომ მიწოდება. კომპანიის საქმიანობა პროგრამულ უზრუნველყოფას, დიზაინს და ტესტირებას. კომპანია მომსახურებას ჰყიდის საზღვარგარეთ.


2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომსახურება დამკვეთს მიეწოდება.

როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.



ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი ვადები:

- | | |
|------------------------|------------|
| • ოფისის აღჭურვილობა | 2-4 წელი |
| • კომპიუტერული ტექნიკა | 3 წელი |
| • ოფისის აღჭურვილობა | 3-7 წლამდე |



თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან წარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, არსებული არამატერიალური აქტივების მიმართ ცვეთის დარიცხვის ვადა განისაზღვრა 3 წლით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების



ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო

შპს „აიტექსტ“-ის
დირექტორი ანდრეი ავაკიან



ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.



3. შემოსავალი რეალიზაციიდან**2022**

საზღვარგარეთ გაწეული მომსახურება	2,277,374
----------------------------------	------------------

4. არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები

არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები მოიცავს უსასყიდლოთ მიღებულს საქონელს და სავალუტო კურსთაშორის ცვლილებით გამოწვეულ ეფექტს.

2022

უსასყიდლოთ მიღებული საქონელი	25
საკურსო შემოსავალი	12,977
საკურსო ზარალი	62,090

5. დასაქმებულთა ანაზრაურება

დასაქმებულთა ნაზღაურება მოიცავს გაცემულ ხელფასებსა და სხვა დამატებით ბენეფიტებს.



6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022
სავაჭრო მოთხოვნები	142,712
გადახდილი ავანსები	700,143

7. სავაჭრო ვალდებულებები

	2022
ადგილობრივი მომწოდებლები	12,479
უცხოელი მომწოდებლები	58,517
სახელფასო ვალდებულებები	504,311

შპს „აიტექსტ“-ის
დირექტორი ანდრეი ავაკიან



8. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ოფისი, . საიჯარო ვადებში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

2022

ჩვეულებრივი იჯარით
გათვალისწინებული საიჯარო
გადასახდელები რომელიც
მიმდინარე წელს აღიარებულია
ხარჯად

84,805

9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 28 ივნისს.



შპს „აიტექნო“-ის
დირექტორი ანდრეი ავაკიან